ՀԱՄԱՐԱՏԱՐԱԿՉԱԿԱՆ ՅԱՅՏԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ, ՊԱՐԲԵՐԱԿԱՆ ԵՎ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԼՐԱՏՎԱԿԱՆ ՀԱՆԴԵՍ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՆՐԱՅԻՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՕՐԳԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԿԱԶՄԱԿԵՐՊՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԿԱԶՄԱԿԵՐՊՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ

(ՀԱՀԿ ԱՄՓՈՓԱԳԻՐ ԿԱՆՈՆԱԴՐՈՒԹՅԱՆ ՄԱՍԻՆ)

ՀՈԴՎԱԾ ՄԱՍԻՆ

5 գլուխ, 8 գլուխ

ՀՈԴՎԱԾ ՄԱՍԻՆ

ՀՈԴՎԱԾ ՄԱՍԻՆ

ՀՈԴՎԱԾ ՄԱՍԻՆ

არჩევნებისათვის მზადება ესტონეთსა და ლატვიაში

„ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმა

ტალინი, 6 ივლისი (საკდესი). გამოქვეყნებულია „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმა ახალ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. პლატფორმის ტექსტში ნათქვამია:

„უმაღლესი ხელისუფლება ესტონეთში უნდა ეკუთვნოდეს ხალხს და მხოლოდ ხალხს. დადგა დრო, როცა უნდა შეიქმნას ჭეშმარიტად სახალხო წარმომადგენლობა და არჩეულ იქნას ისეთი სახელმწიფო სათათბირო, რომელიც სრულუფლებიანი გამომხატველი იქნება მთელი ესტონეთის ხალხის ნებასურვილისა და მისი სუვერენული უფლებებისა.

არჩევნების დღეებში—14 და 15 ივლისს—ესტონეთის ხალხი საარჩევნო ყუთებთან ისე დარაზმული უნდა მივიდეს, როგორც არასოდეს არა ყოფილა, ღრმად დარწმუნებული, რომ ესტონეთის სახელმწიფოსა და ხალხის ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების საფუძველია მტკიცე და ურღვევი კავშირი და მეგობრობა ესტონეთსა და დიად საბჭოთა კავშირს შორის, ძმობა ესტონეთისა და საბჭოთა ხალხებს შორის, რომლებიც ამიერიდან ხელიხელ ჩაკიდებულნი და აღფრთოვანებულნი იბრძოლებენ მშვიდობიანობისათვის და ესტონეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა აყვავებისათვის.

ჩვენ, ესტონეთის მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია, პროფესიული კავშირები, კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები, ესტონელი ქალები და კომუნისტური პარტია გაერთიანდით „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის ჯგუფში, რომ შეთანხმებულად და ერთსულოვნად ჩავატაროთ არჩევნები და ავირჩიოთ სათათბიროში ხალხის ღირსეული წარმომადგენლები, რომლებიც გამოჰხატავენ მის ჭეშმარიტ ნება-სურვილს. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშას, მიწის მუშას, ინტელიგენციას, ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსან პატრიოტს ხმა მისცენ იმათ, ვინც მთელი თავისი ენერგიით და თანამიმდევრობით იბრძოლებს და დაიცავს შემდეგი ჩვენი მოთხოვნების განხორციელებას, რაც ესტონეთის ხალხის უფართოესი მასების მოთხოვნებს წარმოადგენს:

საგარეო პოლიტიკის დარგში ჩვენი მოთხოვნაა — მეგობრობა ესტონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის და ესტონეთის რესპუბლიკის მჭიდრო კავშირთან.

ჩვენი მოთხოვნები საშინაო პოლიტიკის დარგში:

1. დემოკრატიულ თავისუფლებათა — სიტყვის, ბეჭდვის, კრებების, კავშირების თავისუფლების უზრუნველყოფა მშრომელთათვის;

2. მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელფასის გადიდების გზით;

3. მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელფასის გადიდების გზით;

4. ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევისაგან მშრომელთა სოციალური დაზღვევისა და უშიშროების ტექნიკის ღონისძიებათა ფართო ორგანიზაცია;

5. შრომის ინვალიდებისა და მოხუცი მუშებისა და მუშა-ქალების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა;

6. საექიმო დახმარების ქსელის ფართოდ განვითარება საავადმყოფოების, კლინიკების, აბმულატორიების, სამედიცინო პუნქტებისა და სხვ. ორგანიზაციის გზით.

7. დედათა და ბავშვთა ინტერესების დაცვა ბაგების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების მოწყობის გზით;

8. არმიის თანმიმდევრობითი დემოკრატიზაცია;

9. დემოკრატიულ თავისუფლებათა—სიტყვის, პრესის, კრების კავშირის თავისუფლების უზრუნველყოფა მშრომელთათვის;

10. მოქალაქეთა პიროვნებისა და ქონების ხელუხლებლობის უზრუნველყოფა;

11. ნაციონალური კულტურისა და მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების ფართოდ განვითარება.

ჩვენ ლატვიის მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია, პროფკავშირები, საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტები, კულტურულ - განმანათლებელი და სასპორტო ორგანიზაციები, თავისუფალი ლატვიელი ქალები, ლატვიის მშრომელი ახალგაზრდობა და ლატვიის კომუნისტური პარტია, ახალი სეიმის არჩევნების საარჩევნო კამპანიის დიადი ამოცანების წინაშე გავერთიანდით „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირად“, რათა შეთანხმებულად და ერთსულოვნად ჩავატაროთ არჩევნები და ავირჩიოთ სეიმში ხალხის ღირსეული და ნამდვილი წარმომადგენელნი, რომელნიც ჩვენი ხალხის ნამდვილ ნება-სურვილს გამოჰხატავენ. ჩვენ, „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირად“ გაერთიანებულნი, მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა მუშას, გლეხსა და ინტელიგენტს, ყველა პატიოსან პატრიოტს მომავალ არჩევნებში 14 და 15 ივლისს ხმა მისცეს იმათ, ვინც თანამიმდევრობით, პატიოსნად და რევოლუციური ენერგიით იბრძოლებს ჩვენი შემდეგი მოთხოვნების განხორციელებისათვის.

საგარეო პოლიტიკის დარგში — ლატვიელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ლატვიის რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მტკიცე, ურღვევი კავშირი.

საშინაო პოლიტიკის დარგში:

1. სახელმწიფოს მიერ მცირემონაწილეთა და უმიწაწყლო გლეხებისათვის ყოველნაირი დახმარების აღმოჩენა მიწის მიღების საქმეში;

2. ყოველგვარი გადასახდელის, სახელმწიფო გადასახადისა და სხვ. ნარჩენის, აგრეთვე სხვადასხვა ადმინისტრაციული ჯარიმის ჩამოწერა უქონლო და ხელმოკლე გლეხებისათვის;

6. სახელმწიფოს მხრივ ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხებისათვის მიწით უზრუნველყოფის საქმეში;

7. გადაჭრით შემსუბუქება დავალიანების ტვირთისა, რომელიც გლეხობას აწევს;

8. გლეხებისაგან ყოველგვარი გადასახდელისა და სახელმწიფო გადასახადის ნარჩენების, აგრეთვე სხვადასხვა ჯარიმების ჩამოწერა;

9. უსამართლო სულთბრივი გადასახადის გადასინჯვა;

10. დედათა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებათა გაფართოება, ბაგების, საბავშვო სახლების, ბაღებისა და კონსულტაციების ორგანიზაცია;

11. საყოველთაო სახალხო უფასო განათლების შემოღება;

12. სამედიცინო დახმარების ქსელის ფართოდ განვითარება;

13. ნაციონალური უთანასწორობისა და ნაციონალურ უმცირესობათა შევიწროების ლიკვიდაცია და ესტონეთში მოსახლე ყველა ეროვნებათა ნამდვილი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა;

14. არმიის დემოკრატიზაცია;

15. ნაციონალური კულტურისა და მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების ფართოდ განვითარება.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი სამშობლოს ყველა მუშას, გლეხსა და ინტელიგენციას, პატიოსან პატრიოტებს — დაირაზმონ ჩვენი პლატფორმის ირგვლივ და ჩვენი კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმის მიცემით უზრუნველჰყონ სახალხო საქმის გამარჯვება.

ხალხის მტრები, ძველი რეჟიმის დამჭაობები ყოველგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდნენ და ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენი ხალხის ერთიანობისათვის და მუშების, გლეხებისა და შრომითი ინტელიგენციის ძმური კავშირისათვის; ისინი მუშებსა და კომუნისტებს აწერენ განზრახვას, თითქოს მათ სურდეთ დანერგონ ესტონეთის სოფლებში კოლმეურნეობები. ეს პროვოკაციული ჭორი და ცილისწამებაა ესტონეთის მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის მიმართ. არავის არა აქვს უფლება შეეხოს გლეხის საკუთრებას და იძულებული გახადოს გლეხობა გაერთიანდნენ კოლმეურნეობებში.

ამხილეთ პროვოკატორები, რომელნიც შხამიან ცილისწამებას მიმართავენ, რათა გასთიშონ მუშები და გლეხები.

განამტკიცეთ ესტონელი ხალხის ორგანიზებულობა, ერთიანობა და დისციპლინა.

არ დაინდოთ ხალხის მტრები, პროვოკატორები და ცილისმწამებელნი.

არჩევნებში 14 ივლისს ყველამ მიიღეთ მონაწილეობა!

ერთსულოვნად მიეცით ხმა ჩვენი ჯგუფის „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს!

გაუმარჯოს თავისუფალ ესტონეთს!

გაუმარჯოს ესტონეთის მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირთან მეგობრობას და მჭიდრო კავშირს!“

საარჩევნო პლატფორმას ხელი მოაწერეს:

ესტონეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, ესტონეთის მცირემიწიან გლეხთა ცენტრალურმა კავშირმა, ესტონეთის კომუნისტურმა პარტიამ და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

„ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმა

რიგა, 6 ივლისი (საკდესი). დღეს ლატვიის პრესაში ლატვიის ახალი სეიმის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ საარჩევნო პლატფორმა. საარჩევნო პლატფორმის ტექსტში ნათქვამია:

„ლატვიის რესპუბლიკის სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს თვით ხალხს და მხოლოდ ხალხს. ამ ისტორიულ დღეებში ლატვიის ხალხი მოწოდებულია აირჩიოს სეიმი საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული კენჭისყრით.

სეიმის არჩევნების დღეები, 14-15 ივლისი, ახლოვდება. ლატვიელი ხალხი ამ დღეებში საარჩევნო ყუთებთან უნდა მივიდეს ისე მჭიდროდ დარაზმული, როგორც იგი არასოდეს არა ყოფილა, აღფრთოვანებული თავისი სახელოვანი სამშობლოსადმი ერთგულებისა და სიყვარულის ერთიანი გრძნობით, აღფრთოვანებული თავისი დიადი, მძლავრი მეგობრის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უძლეველი კავშირისადმი მეგობრობისა და გულწრფელი ძმური სიმპატიის გრძნობით.

ჩვენ ლატვიის მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია, პროფკავშირები, საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტები, კულტურულ - განმანათლებელი და სასპორტო ორგანიზაციები, თავისუფალი ლატვიელი ქალები, ლატვიის მშრომელი ახალგაზრდობა და ლატვიის კომუნისტური პარტია, ახალი სეიმის არჩევნების საარჩევნო კამპანიის დიადი ამოცანების წინაშე გავერთიანდით „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირად“, რათა შეთანხმებულად და ერთსულოვნად ჩავატაროთ არჩევნები და ავირჩიოთ სეიმში ხალხის ღირსეული და ნამდვილი წარმომადგენელნი, რომელნიც ჩვენი ხალხის ნამდვილ ნება-სურვილს გამოჰხატავენ. ჩვენ, „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირად“ გაერთიანებულნი, მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა მუშას, გლეხსა და ინტელიგენტს, ყველა პატიოსან პატრიოტს მომავალ არჩევნებში 14 და 15 ივლისს ხმა მისცეს იმათ, ვინც თანამიმდევრობით, პატიოსნად და რევოლუციური ენერგიით იბრძოლებს ჩვენი შემდეგი მოთხოვნების განხორციელებისათვის.

საგარეო პოლიტიკის დარგში — ლატვიელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ლატვიის რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მტკიცე, ურღვევი კავშირი.

საშინაო პოლიტიკის დარგში:

1. სახელმწიფოს მიერ მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხებისათვის ყოველნაირი დახმარების აღმოჩენა მიწის მიღების საქმეში;

2. ყოველგვარი გადასახდელის, სახელმწიფო გადასახადისა და სხვ. ნარჩენის, აგრეთვე სხვადასხვა ადმინისტრაციული ჯარიმის ჩამოწერა უქონლო და ხელმოკლე გლეხებისათვის;

3. მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელფასის გადიდების გზით;

4. ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევისაგან მშრომელთა სოციალური დაზღვევისა და უშიშროების ტექნიკის ღონისძიებათა ფართო ორგანიზაცია;

5. შრომის ინვალიდებისა და მოხუცი მუშებისა და მუშა-ქალების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა;

6. საექიმო დახმარების ქსელის ფართოდ განვითარება საავადმყოფოების, კლინიკების, ამბულატორიების, სამედიცინო პუნქტებისა და სხვ. ორგანიზაციის გზით.

7. დედათა და ბავშვთა ინტერესების დაცვა ბაგების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების მოწყობის გზით;

8. არმიის თანმიმდევრობითი დემოკრატიზაცია;

9. დემოკრატიულ თავისუფლებათა—სიტყვის, პრესის, კრების კავშირის თავისუფლების უზრუნველყოფა მშრომელთათვის;

10. მოქალაქეთა პიროვნებისა და ქონების ხელუხლებლობის უზრუნველყოფა;

11. ნაციონალური კულტურისა და მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების ფართოდ განვითარება.

მოგიწოდებთ ხმა მისცეთ ჩვენს მოთხოვნებს. არცერთი ხმა არ მისცეთ იმათ, ვისაც არ შესწევს უნარი ბოლომდე იბრძოლოს ამ პლატფორმის სრული, თანამიმდევრობითი რეალიზაციისათვის.

განამტკიცეთ ლატვიელი ხალხის ერთიანობა, დისციპლინა, ორგანიზებულობა, დაუნდობლად გაუსწორდით ყველა მტერს, ყველა ცილისმწამებელსა და პროვოკატორს. ჩვენი ხალხის მტრები, ძველი რეჟიმის დამჭაობები, პროვოკატორები ყოველგვარ ცილისწამებას ავრცელებენ, რათა დაარღვიონ ჩვენი ერთიანობა, ძირი გამოუთხარონ მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის მძლავრ კავშირს. ისინი პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ იმის შესახებ, რომ მუშებსა და კომუნისტებს განზრახული აქვთ შეუდგნენ კოლმეურნეობების სავალდებულო მოწყობას სოფლად. ეს ცილისწამება იმისათვის გაავრცელეს, რომ გასთიშონ მუშათა და გლეხთა კავშირი. ნუ დაუჯერებთ პროვოკაციულ ხმებს, ამხილეთ პროვოკატორები. ჩვენი მოთხოვნები ჩამოყალიბებულია პლატფორმაში და მოგიწოდებთ იბრძოლოთ ამ მოთხოვნებისათვის“.

საარჩევნო პლატფორმას ხელი მოაწერეს:

ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ლატვიის პროფესიულმა კავშირებმა, ლატვიის არქიის წარმომადგენლებმა, ლატვიის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ლატვიის მასწავლებელთა საზოგადოებამ და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

უღანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარებით განმტკიცდნენ და გაძლიერდნენ რაიონის კოლმეურნეობები. მათ მიაღწიეს მოსავლიანობის თვალსაჩინო ზრდას. გაიზარდნენ სოფლის მეურნეობის უხვი მოსავლის ოსტატები — ეფრემოველები, მაღალი მარჯვენებლების მჭოლე კოლმეურნეობები. გასულ წელს წითელწყაროს რაიონიდან 4 კოლმეურნეობა და 33 მოწინავე ადამიანი იღებდა მონაწილეობას სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, მიმდინარე წელს კი მონაწილეობას იღებს 11 კოლმეურნეობა, მეცხოველეობის 3 ფერმა და სოფლის მეურნეობის 118 წარჩინებული ადამიანი.

ამასწინათ წითელწყაროს რაიონის 59 მოწინავე ადამიანმა პირველად დაათვალიერა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და მდიდარი გამოცდილებით დაბრუნდა. ისინი მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებენ კოლმეურნეთა ფართო მასებს. კოლმეურნენი ვალდებულებას იღებენ კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშაონ და იბრძოლონ კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის.

გამოფენის მონაწილე კომბაინერებმა ა. ბექაურმა, ორდენოსანმა ა. მოხვემ, ნ. წიკლაურმა, მ. თემურაზოვმა და სხვებმა წელს ყველაზე ადრე დაამთავრეს კომბაინების რემონტი და საფუძვლიანად მოამზადეს აგრეგატები მოსავლის აღებისათვის.

მოსავალი ჯარგია. ითვალისწინებდა რა ამ მდგომარეობას, პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა ჯერ კიდევ აპრილში განიხილა მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი. პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ რამდენჯერმე განიხილა ცალკეულ კოლმეურნეობათა და მტს-ების ხელმძღვანელთა მოხსენებანი მოსავლის აღებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, დასახა საჭირო ღონისძიებანი და მოახდინა მათი შესრულების შემოწმება.

რაიონში წელს მოსავალი აღებულ უნდა იქნას 30.350 ჰექტარ ფართობზე. აქედან—საშემოდგომო თავთავიანი კულტურები—18.603 ჰექტარი, გაზაფხულის თავთავიანი კულტურები—2.766 ჰექტარი, ჭვავ-ფშენიცა—4.646 ჰექტარი, სიმინდი —1.402 ჰექტარი და სხვა კულტურები—2.933 ჰექტარი.

მოსავლის აღებაზე იმუშავებს წითელწყაროს და შირაქის მტს-ების 77 კომბაინი, 123 ტრაქტორი, 10 სალეწი მანქანა, 200-ზე მეტი ავტომანქანა, მაქსიმალურად იქნება გამოყენებული აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალა.

მოსავლის სანიმუშოდ აღებისათვის კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ამის შედეგად მთელი რიგი კოლმეურნეები, კომბაინერები და ტრაქტორისტები მუშაობის სანიმუშო მაგალითებს იძლევიან. მაგალითად, წითელწყაროს ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მარცვლეულის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 15 ცენტნერს აღწევს, კომბაინერმა ივ. ბრავკოვმა პირველ 3 დღეს გეგმით გათვალისწინებული 21 ჰექტარის ნაცვლად 60 ჰექტარი ხორბალი აიღო. იგი მოსავლის აღების დღიურ ნორმას სისტემატურად 2-2,5-ჯერ აჭარბებს. მუშაობის ასეთივე კარგ მაგალითებს იძლევიან კომბაინერები ქ. ტარასოვი, გერცხლის პატარა მედალით დაჯილდოებული ჯ. ბეჭაური, სიმონ ოგბაიძე და სხვ.

სოფ. დიღომის (თბილისის რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მე-5 ბრიგადა ახალი მოსავლის პურით სავსე ტომრებს ჰბაზანის კოლმეურნეობის ბეღელში.

ფოტო ჯ. სტოლიაროვისა (საქდესი) ფოტოქრონიკა).

მთელ რეგიონ კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობის ბანკის კოლმეურნეობაში ჩაცვენილი თავთავის აკრეფაზე ყოველდღიურად გამოდის 50 ქალი და მოზარდი. თავთავების შესაგროვებლად მუშა-ხელის განსაზღვრული რაოდენობა გამოყოფილია აგრეთვე სოფ. ზემოქედის კოლმეურნეობა „კომუნის გზაში“, სადაც ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 17 ცენტნერს აღწევს.

საერთოდ კი 1 ივლისისათვის წითელწყაროს რაიონში მარცვლეული კულტურების აღების გეგმა 9,6 პროცენტით იყო შესრულებული. აღებული იყო თავთავიანი კულტურები 2.068 ჰექტარზე, მათ შორის 1.934 ჰექტარზე კომბაინებით. წინასწარი გამოანგარიშებით წელს რაიონში ჰექტარზე საშუალოდ 12-13 ცენტნერი მარცვლეულის მოსავალი უნდა მივიღოთ.

რამდენადმე ჩამორჩა რაიონი თივის აღებაში. 1 ივლისისათვის რაიონში თივა აღებულ იქნა სულ 7.615 ჰექტარზე, რაც გეგმის 82,8 პროცენტს უდრის. დაწესებული ვადების მიხედვით კი თივის აღება ამ რიცხვისათვის მთლიანად უნდა ყოფილიყო დამთავრებული. მიღებულია ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ ეს ჩამორჩენა უახლოეს დღეებში გამოვასწოროთ და სოციალისტურ მეცხოველეობას შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება 1941 წლისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის განგრძობის შესახებ მძლავრი მოწოდებაა სოფლად სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლისათვის. ამ დადგენილებას რაიონის მშრომელნი ერთსულოვნად მიესალმებიან. წითელწყაროს რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სანიმუშოდ აიღონ მოსავალი, დროულად და მთლიანად შეასრულონ სახელმწიფო ვალდებულებანი. ბოლშევიკურად ვიბრძოლებთ, რათა რაიონში მოიპოვოს 1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

ალ. კობერიძე

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი.

გეგმა გადაჭარბებით შესრულდა

შასპი, (ტელეგრაფით). შესტატისტიკულ მეაბრეშუმეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგად კასპის რაიონში აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 101 პროცენტით შესრულდა. დამზადებული პარკიდან 66 პროცენტი პირველი ჯგუფისაა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი პ. კეზერაშვილი.
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სიდამონიძე

ჰიგიენური გეგრლინის ჩავიდა

გეგრლინი, 6 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს ბერლინის ჩამოვიდა ჰიტლერი, რომელსაც საზეიმო შეხვედრა გაუმართეს.

ჩიანო გეგრლინს ჩავიდა

გეგრლინი, 7 ივლისი (საკდესი). დღეს 11 საათსა და 30 წუთზე ბერლინს ჩამოვიდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო. ვაგზალზე ჩიანოს შეეგება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი. ჩიანოს ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთ „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ სწერს: „იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერლინს გერმანიის მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა. ჩიანოს ჩამოსვლა რომის პოლიტიკურ წრეებში დიდი მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნიათ“.

„ფელკიშერ ბეობახტერის“ კორესპონდენტი რომიდან იწერება: „ბერლინს ჩიანოს გამგზავრება იტალიის პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრში არისო“.

ეკაყის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ლონდონი, 6 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბაღდადიდან გადმოგვცემს, „თურქეთის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ ანკარიდან დაბრუნებულმა ეკაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გენერალმა ნური საიდმა განაცხადა, რომ ანკარაში განხილულ საკითხთა შორის იდგა სირიის ძმთავარი ბედის საკითხი“. შემდეგ ნური საიდმა განაცხადა, რომ „სირიამ სრული დამოუკიდებლობა უნდა მიიღოს. სირიის მომავალი ბედის საკითხში უკანასკნელი სიტყვა უნდა ეკუთვნოდეთ სირიელებს“.

მოკლე ცნობები

○ **ესტონეთში** განახლდა ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის“ გამოცემა. ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რედაქციის სახელზე მრავალრიცხოვანი მისალმება მიდის. მიღებულია მისალმება პრემიერ-მინისტრ ი. ვარესის (ბარბარუსი), შინაგან საქმეთა მინისტრ მ. უნტისა და მთელ რიგ სხვა პირთაგან.

○ **ამერიკის** შეერთებული შტატების „ანაკონდა კოპერ მაინინგის“ ფირმის სპილენძის უდიდეს საბადოებში (მონტანის შტატი) მაღაროელები დღეში 10 საათს მუშაობენ. შახტში ჩასვლისა და შახტიდან ამოსვლის დრო, აგრეთვე დრო რაც საჭიროა იმისათვის, რომ მუშა იარაღითა და წყლით მომარაგდეს, სამუშაო საათებში არ შედის.

○ **შანხაიში** იაპონიის სამხედრო ხელისუფლებასა და საფრანგეთის კონცესიის ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ შანხაიში შენარჩუნებულ იქნას სტატუს-ქვო საფრანგეთის კონცესიაზე.

○ **რუმინეთში** 2 ივლისიდან მობილიზებულია პურის ფასი, კილოგრამზე ერთი ლეი.

○ **საფრანგეთის** ჯარის სარდლად სირიაში პეტენის მთავრობამ გენერალ მიტელჰაუზერის ნაცვლად დანიშნა გენერალი ასიე.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაცია

ჰელსინკი, 6 ივლისი (საკდესი). როგორც გაზეთი „უუს სუომი“ იუწყება, ფინეთის პრეზიდენტმა წინადადება მისცა სეიმს მოახდინოს საბჭოთა კავშირ-ფინეთის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაცია. ამავე დროს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება ა.წ. 1 ივლისიდან ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შესახებ.

პრეზიდენტმა შეიტანა აგრეთვე წინადადება იმის შესახებ, რომ გადიდებულ იქნას გარანტირებული საექსპორტო კრედიტები 200 მილიონი ფინური მარკიდან 1 მილიარდმდე იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის სავაჭრო ხელშეკრულება ითვალისწინებს ფინეთის ექსპორტის მნიშვნელოვან გადიდებას.

კანონი ლატვიის არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შესახებ

რიგა, 6 ივლისი (საკდესი). ლატვიის მთავრობამ მიიღო კანონი არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შესახებ.

„ისტორიული ცვლილება, რაც სახელმწიფოში ხდება ლატვიელი ხალხის და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყველა ორგანოს ფართო დემოკრატიზაციის საფუძველზე, — ნათქვამია კანონში, — დაჟინებით მოითხოვს ლატვიის არმიის დემოკრატიზაციას. იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად გატარდეს ცხოვრებაში ლონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია არმიაში ნამდვილი დემოკრატიზმის განსახორციელებლად, აგრეთვე მაღალი სამხედრო დისციპლინის განმტკიცების მიზნით, მთავრობამ გადაწყვიტა ლატვიის არმიაში შეჰქმნას პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ინსტიტუტი.

პოლიტიკურ ხელმძღვანელთა პოსტები ეწყობა არმიის შტაბებთან, დივიზიებთან და ბრიგადებთან, პოლკებთან, ცალკეულ ნაწილებთან, სამხედრო დაწესებულებებთან და ცალკეულ გარნიზონებთან. არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ნიშნავს მთავრობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ პირთაგან. არმიის პოლიტიკური ხელმძღვანელები სამხედრო მინისტრსა და არმიის მთავარსარდალს ექვემდებარებიან. პოლიტიკური ხელმძღვანელები საზოგადოებრივ საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროებთან მჭიდრო კონტაქტით მუშაობენ.

პოლიტიკურ ხელმძღვანელთა და მთდამი დაქვემდებარებულ თანამდებობის პირთა ამოცანებს შეადგენს: მთავრობის კანონებისა და განკარგულებათა გაცნობა არმიისათვის და მათი განმარტება; არმიის ყველა მეომრის აღზრდა სახელმწიფოში მომხდარი ყველა დემოკრატიული ცვლილების შესაბამისად, აგრეთვე ზოგად პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა არმიაში; სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა, სამხედრო პრესის ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელობა“.

ლატვიის ფინანსთა სამინისტროსა და ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს გაერთიანება

რიგა, 6 ივლისი (საკდესი). ლატვიის მთავრობამ გადაწყვიტა გააერთიანოს ფინანსთა სამინისტრო და ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო ფინანსთა ერთ სამინისტროდ.

სამინისტროს სათავეში იქნება ფინანსთა მინისტრი კარლის კარლსონი.

საფრანგეთის კონსტიტუციის მომავალი ცვლილებები

ნიუ-იორკი, 6 ივლისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ პეტენის მთავრობამ დაავალა ლავალს შეადგინოს „სრულიად-ახალი“ კონსტიტუცია, რომელიც პარლამენტს წარედგინება მომავალ კვირაში. ახალ კონსტიტუციაში, — სწერს სააგენტო, — შეიძლებელია გათვალისწინებულ იქნას პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გაერთიანება და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთი უმაღლესი ხელმძღვანელის დაწესება. ეს ხელმძღვანელი არჩეული იქნება განსაზღვრული ვადით და თვითონ დანიშნავს მინისტრთა კაბინეტს. ფიქრობენ, რომ ახალ პარლამენტს, რომელიც წარმომადგენელთა პალატას და სენატს შესცვლის, შეზღუდული უფლებები ექნება. პარლამენტს მინისტრთა კაბინეტის გადაყენების უფლება არ ექნება.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, არსებული ცნობების თანახმად, ლავალმა უკვე მიაღწია იმას, რომ კონსტიტუციის ახალი პროექტი მოიწონა საფრანგეთის 50 სენატორმა.

პარტიული ცხოვრება

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი პარტიულ პროპაგანდაში

აბალქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს პარტიული პროპაგანდის გარდაქმნის საქმეში. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის მთავარ მეთოდად წიგნზე დამოუკიდებელი შეცადინეობის მეთოდი გახდა.

ჩვენი რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, საბჭოთა ინტელიგენცია წარმატებით ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიას. ამხანაგებმა აბისოვმა, მელკონიანმა, აბგარიანმა, ტეროსიანმა უკვე შეისწავლეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ მთლიანად და ამჟამად მუშაობენ მარქსიზმის კლასიკოსთა ძირითად წყაროებზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ კოლმეურნეობებში და წარმოება-დაწესებულებებში ჩატარდა 211 ლექცია, რომლებსაც 10.748 კაცი დაესწრო. ლექციები ჩატარებულია როგორც „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ ცალკეული თავების მიხედვით, ისე საერთაშორისო საკითხებზე. ჩატარდა 266 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია, რომელშიაც 2561 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ჩატარებული ლექციებიდან 108 ლექცია შეეხებოდა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდს.

რაიონში ჩამოყალიბებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი 7 წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 140 მსმენელი, მათ შორის 108 მსმენელი პარტ-წევრ-კანდიდატია. კარგად მუშაობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს პროპაგანდისტი ე. აივაზიანი. აღნიშნულ წრეს კარხანის პირველადი პარტორგანიზაცია დამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს. სათანადო დახმარებას უწევს პარტორგანიზაცია იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ბოლშევიზმის გმირულ ისტორიას.

გულისხმიერად ეკიდებიან ჩვენი ხალხის თეორიულად შეიარაღების საქმეს „გრუზტორგის“ განყოფილების (პარტბიუროს მდივანი ამხ. ტ. ტამამიანი), სომხური საშუალო სკოლის (პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. ჩიჩიანი), არაგვის საკოლმეურნეო (პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. ჟამკოციანი) პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები.

მაგრამ არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციებიც, სადაც თითქმის მიივიწყეს პროპაგანდისტული მუშაობა; მაგალითად, „საქპურტრესტის“ (მდივანი ამხ. გრიგორიანი), „ზაგოტსკოტის“ (მდივანი ამხ. ტერჩანიანი), დილისკის საკოლმეურნეო (მდივანი ამხ. კრჩაციანი) პირველადი პარტიული ორგანიზაციები ზერელედ და გულგრილად ეკიდებიან პარტიული პროპაგანდის საქმეს. აღნიშნული პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები არამც თუ სისტემატურად ხელმძღვანელობენ ქადრების ბოლშევიკურად აღზრდის საქმეს, არამედ თვითონაც არ გასცილებიან „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მე-2 და მე-3 თავების შესწავლას. ასევე სუსტად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები: ამხ. ა. კუგოიანი, კარახანიანი, დუდუჭიანი.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეეგუებით ისეთი მდგომარეობა, როცა ზემოღასახელებულ ამხანაგებს თავიანთი უმეცრებისა და თეორიული ჩამორჩენისა რცხვენოდეთ და წითლდებოდნენ.

ერთერთ დიდ ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ პარტკაბინეტში მიმდინარე წლის მაისამდე ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე კონსულტანტები არ იყო გამოყოფილი. ამჟამად ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. რაიკომის ბიუროს ყოველთვიურად ამტკიცებს პარტკაბინეტის სამუშაო გეგმას ლექციებისა და მოხსენებების ჩატარების შესახებ.

ლექციები და მოხსენებები ტარდება დიფერენციულად — ამხანაგების მომზადების დონის გათვალისწინებით. რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლექციებისა და მოხსენებების ხარისხს და მათს მომზადებულად ჩატარებას.

მაისში ჩატარებულ იქნა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი ამხანაგების თათბირი გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით, რომელიც დიდად დაეხმარა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთ.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ძირითადი და გადაუდებელი ამოცანაა მთელი ძალღონით იმუშაონ იმისათვის, რომ სავსებით აღმოფხვრან პარტიულ - პროპაგანდისტულ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

მ. გელაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის მდივანი.

მჭს-ის პარტორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებიდან

(სიღნაღი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

დიდი ხანი არ არის, რაც ამხ. გ. გოძიაშვილი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელობიდან დაწინაურებულ იქნა წნორის მტს-ის დირექტორის მოადგილედ პოლიტდარგში. ის ამავე დროს მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანია. ამხ. გოძიაშვილი თავიდანვე ენერგიულად შეუდგა მუშაობას, ფართოდ დარაზმა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მტს-ში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

წნორის მტს-ის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას აქცევენ პარტიის რიგების ზრდის საქმეს. მტს-ში ბევრია უპარტიო ამხანაგი, რომლებიც მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. ამ ამხანაგებთან სერიოზულ მუშაობას აწარმოებს პარტორგანიზაცია. პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. გოძიაშვილმა მრავალჯერ მოაწყო საუბარი მოწინავე უპარტიო ამხანაგებთან, გააცნო მათ XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებანი, წაუკითხა პარტიის წესდების ცალკეული მუხლები.

უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში პარტიის რიგებში მიღებულ იქნა 12 ამხანაგი. მათ შორის ტრაქტორისტები რ. ფხოველიშვილი და ვ. ჯაჯალაშვილი, რომლებიც საუკეთესოდ მუშაობენ, გეგმებს 200—250 პროცენტით ასრულებენ. ეს ამხანაგები სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან.

პარტორგანიზაციის ხელმძღვანელები პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობასთან ერთად სამეურნეო საქმიანობას. პარტორგანიზაციის კრებაზე ხშირად იხილავენ სამეურნეო ხასიათის საკითხებს. არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სახავენ პრაქტიკული ღონისძიებებს.

წნორის მტს-ში სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა კომბაინების რემონტი. მოიწვიეს მტს-ის მექანიკოსებისა და კომბაინერების თათბირი, დაწვრილებით იქნა შესწავლილი თუ რა აფერხებდა კომბაინების რემონტს.

კომბაინების რემონტის მიმდინარეობის შესახებ საკითხი განხილული იქნა პარტიულ კრებაზე. კრებამ აღნიშნა, რომ მტს-ის სახელოსნო არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, კომუნისტი - კომბაინერები არ იძლევიან მუშაობის კარგ მაგალითებს, სუსტია შრომის დისციპლინა და სხვ. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

საქმე ამით არ დამთავრებულა. პარტორგანიზაციის მდივანი სისტემატურად ამოწმებდა მიღებული დადგენილების შესრულებას, რაზმავდა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს კომბაინების რემონტის ვადაზე და მაღალხარისხოვნად დასამთავრებლად. ჩატარებული მუშაობის შედეგად კომბაინების რემონტი 15 დღით ადრე დამთავრდა.

პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი დიდი ინტერესით ეხმაურებიან ყოველივე ახალს, სათავეში უდგებიან ხალხის ინიციატივასა და თაოსნობას. გასულ წლებში წნორის მტს-ი ყოველთვის გარღვევებით ამთავრებდა ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტს. ეს მდგომარეობა უმთავრესად გამოწვეული იყო სათადარიგო ნაწილების უქონლობით. მექანიკოსმა ამხ. ლ. კუპრენკომ წინადადება შეიტანა მტს-ის დირექციაში და პარტორგანიზაციაში ტრაქტორის ზოგიერთი ნაწილის ადგილობრივ სახელოსნოში დამზადების შესახებ. პარტორგანიზაციამ გულდასმით განიხილა ამხ. კუპრენკოს წინადადება და დაეხმარა მის განხორციელებაში. ამჟამად მტს-ის სახელოსნოში მზადდება ტრაქტორების ისეთი ნაწილი, როგორიცაა კბილანა.

კომკავშირელი ტრაქტორისტის ამხ. ქ. მათეშვილის ინიციატივით ადგილობრივ სახელოსნოში მზადდება „უნივერსალის“ ღერძი და ტრაქტორების სხვადასხვა ნაწილები. ეს მდგომარეობა დიდად უწყობს ხელს ტრაქტორების შეუფერხებლად მუშაობას.

წნორის მტს-ის პარტორგანიზაციაში 16 კომუნისტი ირიცხება. პარტიის თვითეულ წევრს და კანდიდატს მიცემული აქვს შესაფერი პარტიული დავალება. ასე მაგალითად, ივ. ფეიქრიშვილი გამოყოფილია აგიტატორად. ის სისტემატურად ატარებს საუბრებს სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეებს შორის. ასევე კარგად მუშაობენ აგიტატორები შ. ნაცვლიშვილი, ა. ჯავაშვილი, ა. ქემაშვილი, ნ. კანაშვილი და სხვ.

ამ უკანასკნელ დროს გაუმჯობესდა პროპაგანდისტული მუშაობაც. ამხანაგებმა ი. ფეიქრიშვილმა, ს. მაწკეპლაძემ და სხვებმა უკვე დაამთავრეს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. ახლა ისინი მარქსიზმის კლასიკოსების ცალკეულ ნაწარმოებებზე მუშაობენ.

პარტორგანიზაციის მდივანი ხშირად ატარებს ამხანაგურ საუბარს იმ პირებთან, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ პარტიის გმირულ ისტორიას. გ. გურაშვილი და რ. ხატიაშვილი აცხადებდნენ, რომ საუკეთესოდ სწავლობენ პარტისტორიას, არავითარი დახმარება არ ესაჭიროება მათ. ამხანაგური საუბრის დროს გამოირკვა, რომ ეს ამხანაგები არამცთუ მეცადინეობდნენ, არამედ პარტისტორიის სახელმძღვანელოც არ ჰქონდათ შეძენილი.

პარტორგანიზაციის მიერ კონსულტანტად გამოყოფილია ამხ. ი. ფეიქრიშვილი. ის დიდ დახმარებას უწევს იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად მეცადინეობენ. ამხ. ფეიქრიშვილი საჭიროებისამებრ აწყობს დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს.

მ. თევზაძე

ბელადთა სახელები საქართველოს სასცენო ხელოვნებაში

ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** შრომა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა დაუშრეტელი შთაგონების წყაროდ გადაიქცა. ორდენოსანი დრამატურგი შ. დადიანი სწერს: „ამხანაგ ლავრენტი ბერიას შესანიშნავი მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ დრამატურგისათვისაც დიდი სახელმძღვანელოა. იქ მოცემულია მასალები წარსული სინამდვილისა და ვინც მხატვრულ ლიტერატურაში, ამჟამად დრამატურგიაში, ამ გასაღებს მოიმარჯვებს, გამარჯვებულიც ის გამოვა“.

ეს გასაღები მწერლობაში ბევრმა მოიმარჯვა, კერძოდ დრამატურგიაში, მხატვრობაში, მუსიკაში. ამ ნაშრომმა დიდი როლი ითამაშა ჩვენი თეატრების ცხოვრებაში. მათ წინაშე წამოიჭრა რთული, მაგრამ დიდად საპატიო ამოცანა: ავსახოთ სცენაზე ჩვენი საყვარელი ბელადის სახე, მისი გმირული საქმეები.

პირველი ნაბიჯი შ. დადიანმა გადადგა. მისი „ნაპერწკალიდან“, რომელშიაც ასახულია ახალგაზრდა **სტალინის** რევოლუციური მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები, დაიდგა რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, სომხური დრამის, ჭუთაისის და მუსკომედიის თეატრებში. „ნაპერწკლიდან“ მოჰყვა ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“, ბ. გამრეკელისა და გ. ნაბუცრიშვილის „ლადო კეცხოველი“, ი. გედევანიშვილის „გადასასვლელზე“, კინოში მ. ჭიაურელის „დიადი განთიადი“.

თეატრებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს. მთელმა რიგმა მსახიობებმა მოგვცეს სცენაზე **ლენინის, სტალინისა** და **ლადო კეცხოველის** სახეები. ჩვენმა თეატრებმა კვლავ გააცოცხლეს სცენაზე რევოლუციური ბრძოლის ისტორიის შესანიშნავი ეპიზოდები. ამ სპექტაკლებს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მათ ხელი შეუწყეს სოციალისტური რეალიზმის განმტკიცებას. ამაღლეს დადგმების მხატვრული დონე.

თეატრალურმა მუზეუმმა გადასწყვიტა ამ მუშაობის შეჯამება, მისი თავის მოყრა. ამ მიზნით მოეწყო გამოფენა თემაზე „ბელადთა სახეები საქართველოს სასცენო ხელოვნებაში“.

გამოფენა იწყება სპეციალური განყოფილებით, სადაც გამოფენილია ამხ. **ლ. პ. ბერიას** ისტორიული ნაშრომის ყველა გამოცემა ქართულ-რუსულ ენებზე და ხელოვნების მუშაკთა გამოთქმები ამ ნაშრომის შთაგონებითს მნიშვნელობაზე.

მეორე განყოფილებაში მოცემულია დოკუმენტები და მასალები **ლენინისა** და **სტალინის** რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. ეს ორი განყოფილება არის შესავალი გამოფენის ძირითადი თემისათვის.

შემდეგს განყოფილებებში მოთავსებულია რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, მოზარდ მაყურებლის, სომხური დრამის, მუსიკალური კომედიის, ჭუთაისის, ბათუმისა და გორის თეატრების დადგმების მრავალფეროვანი ეკსპონატები. გამოფენილია არა მარტო ფოტოსურათები (მსახიობები როლებში), არამედ დადგმის მაკეტური გაფორმების ესკიზები, მხატვრების მიერ შესრულებული ცალკეული სურათები დადგმებისა, პროგრამები, აფიშები, გაზეთები რეცენზიებით ამ დადგმების შესახებ.

გამოფენა გაიხსნა 7 ივლისს. მნახველებმა გამოფენას კარგი შეფასება მისცეს.

კურორტებს—საუკეთესო მომარაგება

„საქკურორტვაჭრობამ“ თვალსაჩინო მუშაობა ჩაატარა მიმდინარე წლის საკურორტო სეზონის მომზადებულად შეხვედრისათვის. კურორტებზე: ბორჯომში, ბაკურიანში, წაღვერში, ცემში, ლიბანში, ტბაზე, აბასთუმანში, წყალტუბოში, ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ცხის - ძირსა და მახინჯაურში, რომლებსაც „საქკურორტვაჭრობა“ უწევს მომსახურებას, დამთავრდა სავაჭრო ქსელის შენობათა რემონტი. გადამეტებით არის შესრულებული აგრეთვე პროდუქტების დეცენტრალიზებული წესით დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. გათვალისწინებულ 1.064.000 მანეთის საქონლის ნაცვლად, დეცენტრალიზებული წესით „საქკურორტვაჭრობამ“ შეიძინა 1.586 ათასი მანეთის პროდუქტები. აქედან 1.178 ათასი მანეთის სურსათ-სანოვაგე, ხოლო 408 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი.

მიმდინარე წლის სეზონში კურორტების პროდუქტთა უხვი ასორტიმენტით უზრუნველყოფისათვის, „საქკურორტვაჭრობამ“ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები. ბორჯომში აშენდა მაცივარი, რომელიც მომსახურებას გაუწევს ბორჯომის ხეობის კურორტებსა და აბასთუმანს მალფუჭი პროდუქტების შენახვაში, იქვე მოეწყო საკონდიტრო ნაკეთობის საწარმო, რომელმაც მაისში გამოუშვა 8 ტონა საშაქარლამო ნაწარმი. წყალტუბოში გაიხსნა ხილბოსტნეულის ახალი მაღაზია, რომელმაც ფართოდ გაშალა ვაჭრობა; წყალტუბოს პარკში, სასტუმროსთან და რესტორანში გაიხსნა ნაყინისა და გამაგრილებელი წყლების ახალი კიოსკები; მწვანე კონცხზე გაკეთდა ახალი პავილიონი-რესტორანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ღონისძიება, რომლის გატარებითაც „საქკურორტვაჭრობა“ მრავალ კურორტს უზრუნველჰყოფს ცოცხალი თევზით. 25 მაისიდან ბორჯომის ხეობაში მოეწყო თევზის ჭერა. ყოველდღიურად აქ 50-60 კილოგრამ თევზს იჭერენ.

25 ივნისიდან თევზის ჭერა დაიწყო ტაბაწყურის ტბაზე. შემოწმებულია, რომ ეს ტბა კურორტებს ყოველდღიურად მისცემს 1.000 კილოგრამზე მეტ ცოცხალ თევზს. ნავების აგება, ბადეების შეძენა და თევზის დამჭერთა დაკომპლექტება დამთავრებულია.

გარდა ამისა, „საქკურორტვაჭრობამ“ 1940 წლის პირველ ნახევარში შეისყიდა და კურორტებს დაუგზავნა 25 ტონა თევზი.

სადირექტივო ორგანოების მიერ დამტკიცებული ცენტრალიზებული ფონდების მიხედვით „საქკურორტვაჭრობა“ შეუფერხებლად ღებულობს და სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებსა და პიონერთა ბანაკებს უხვად აწვდის ისეთ პროდუქტებს, როგორიც არის კარაქი, ყველი, ხორცი, ფრინველი, კვერცხი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ბურღულეი, ჩაი, ძეხვეული და სხვ. ამ მხრივ საქართველოს საკავშირო მნიშვნელობის კურორტები სავსებით უზრუნველყოფილი არიან.

კურორტი აბასთუმანი უზრუნველყოფილი არ არის ახალი კარტოფილით, სტაფილოთი, ჭარხლით და სხვ.

კურორტების მომარაგებას აფერხებს ავრეთვე „გლავრიბსბიტის“ საქართველოს კანტორა, რომელმაც მეორე კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 65 ტონა მაღალხარისხოვანი თევზის, 35 ტონა ქაშაყის, 30 ათასი ცოცა თევზის კონსერვის ნაცვლად დღემდე მხოლოდ 14 ტონა თევზი მიაწოდა.

„საქკურორტვაჭრობის“ მუშაობის მნიშვნელოვან დეფექტს ის წარმოადგენს, რომ მან მთელი რიგი კურორტები (ბორჯომი, აბასთუმანი, ბაკურიანი) ვერ უზრუნველჰყო ხილითა და ბოსტნეულით, რომ ქობულეთის სავაჭრო ქსელს არა აქვს ყინული და ხშირად გაუცივებელ წყალს ჰყიდის; ავტოტრანსპორტის უქონლობით დიდად ფერხდება აგრეთვე მალფუჭი პროდუქტების ბორჯომიდან აბასთუმანში გადაზიდვა და სხვ.

„საქკურორტვაჭრობამ“ სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს ეს ნაკლოვანებანი და უზრუნველჰყოს მზიური საქართველოს კურორტები—ჯანმრთელობის ამ შესანიშნავი კერების მაღალხარისხოვანი მოხარაგება.

ა. შოთაძე

ანტირელიგიური პროპაგანდა მივიწყებულია

(ბორჯომი, საკ. კორე სპონდენტისაგან)

ბორჯომის რაიონში ანტირელიგიური პროპაგანდა მივიწყებულია. ამ მიმართულებით სუსტად მუშაობენ საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის პროპაგანდისტი და აგიტატორები. კარგად მუშაობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს პროპაგანდისტი ე. აივაზიანი. აღნიშნულ წრეს კარხანის პირველადი პარტორგანიზაცია დამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს. სათანადო დახმარებას უწევს პარტორგანიზაცია იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ბოლშევიზმის გმირულ ისტორიას.

გულისხმიერად ეკიდებიან ჩვენი ხალხის თეორიულად შეიარაღების საქმეს „გრუზტორგის“ განყოფილების (პარტბიუროს მდივანი ამხ. ტ. ტამამიანი), სომხური საშუალო სკოლის (პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. ჩიჩიანი), არაგვის საკოლმეურნეო (პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მ. ჟამკოციანი) პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები.

მაგრამ არიან ისეთი პარტიული ორგანიზაციებიც, სადაც თითქმის მიივიწყეს პროპაგანდისტული მუშაობა; მაგალითად, „საქპურტრესტის“ (მდივანი ამხ. გრიგორიანი), „ზაგოტსკოტის“ (მდივანი ამხ. ტერჩანიანი), დილისკის საკოლმეურნეო (მდივანი ამხ. კრჩაციანი) პირველადი პარტიული ორგანიზაციები ზერელედ და გულგრილად ეკიდებიან პარტიული პროპაგანდის საქმეს. აღნიშნული პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები არამც თუ სისტემატურად ხელმძღვანელობენ ქადრების ბოლშევიკურად აღზრდის საქმეს, არამედ თვითონაც არ გასცილებიან „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მე-2 და მე-3 თავების შესწავლას. ასევე სუსტად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები: ამხ. ა. კუგოიანი, კარახანიანი, დუდუჭიანი.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შეეგუებით ისეთი მდგომარეობა, როცა ზემოღასახელებულ ამხანაგებს თავიანთი უმეცრებისა და თეორიული ჩამორჩენისა რცხვენოდეთ და წითლდებოდნენ.

ერთერთ დიდ ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ პარტკაბინეტში მიმდინარე წლის მაისამდე ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე კონსულტანტები არ იყო გამოყოფილი. ამჟამად ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. რაიკომის ბიუროს ყოველთვიურად ამტკიცებს პარტკაბინეტის სამუშაო გეგმას ლექციებისა და მოხსენებების ჩატარების შესახებ.

ლექციები და მოხსენებები ტარდება დიფერენციულად — ამხანაგების მომზადების დონის გათვალისწინებით. რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლექციებისა და მოხსენებების ხარისხს და მათს მომზადებულად ჩატარებას.

მაისში ჩატარებულ იქნა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელი ამხანაგების თათბირი გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით, რომელიც დიდად დაეხმარა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთ.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ძირითადი და გადაუდებელი ამოცანაა მთელი ძალღონით იმუშაონ იმისათვის, რომ სავსებით აღმოფხვრან პარტიულ - პროპაგანდისტულ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

მ. გელაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის მდივანი.

სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“

ხრამჰესმშენი, (საქდესი). „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ხრამჰესმშენის პარტბიურომ მოაწყო ლექციათა ციკლი. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა ამხ. იაღუნინმა წაიკითხა ლექციები შემდეგ თემებზე: „სტალინური მოძღვრება სოციალისტური ინტელიგენციის შესახებ“, „ბოლშევიკური პარტიის თეორია და ტაქტიკა ომის, მშვიდობიანობის და რევოლუციის საკითხებში“ და სხვ.

განსაკუთრებული ინტერესით იქნა მოსმენილი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მე-4 თავის მიხედვით წაკითხული ლექციები: „ამხანაგ ლენინის ნაწარმოებების—„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ მნიშვნელობა“ და „მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ძირითადი სახეები“. ეს ლექციები წაიკითხა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა ამხ. ჩობანიანმა. კომუნისტების გარდა ლექციას ესწრებოდა მრავალი კომკავშირელი და უპარტიო.

მშენებლობის მრავალმა კომუნისტმა უკვე დაამთავრა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა. მათ შორის არიან—ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. აიდინოვი, მომარაგების განყოფილების უფროსი ამხ. მაკარევიჩი და სხვ.

ამხ. მაკარევიჩი ახლა მუშაობს პარტორგანიზაციაში (მდივანი—ჯაანელიძე) საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ ალარ გადაუთეთრებიათ პარტიულ კრებათა ოქმები, ზოგიერთ ოქმზე ხელი არ უწერიათ კრების თავმჯდომარეს და მდივანს. ოქმში ჩამოთვლილია იმათი გვარი, ვინც კამათში გამოვიდა, მაგრამ არ არის აღნიშნული, თუ რა სთქვეს მოკამათეებმა. ასეთსავე ფაქტებს ადგილი აქვს ტოპოგრაფიული ტექნიკუმის, სახ. მეურნეობის აღრიცხვის ტექნიკუმის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

ცალკეული პარტიული ორგანიზაციები დროულად არ გზავნიან პარტიული კრების ოქმებს რაიკომში. ასე იქცევიან, მაგალითად, ბავშვთა სახლის (მდივანი—მირონოვა), არტელ „მიღწევის“ (მდივანი—ბერეტაშვილი), დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ინსტიტუტის (მდივანი—ჭუმბურიძე) და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები.

მცირერიცხოვანი პარტორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევის მიზნით უკანასკნელ დროს ჩვენ ვაწყობთ კომუნისტთა ერთდღიან მეცადინეობას, ვაცნობთ კომუნისტებს, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ოქმი. ასეთი ერთდღიანი მეცადინეობა უკვე ჩატარდა კონფეტის ფაბრიკის და გზატკეცილთა სამმართველოს სახელოსნოს პირველადს პარტორგანიზაციებში. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი მეცადინეობა დიდ დახმარებას უწევს კომუნისტებს ოქმების კარგად წერის შესწავლაში.

შემჩნეულ იქნა, რომ ზოგან უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პარტიაში მისაღებთა განცხადებების განხილვას. მაგალითად, ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს პარტორგანიზაციაში (მდივნის მოადგილე—ბუგიანაშვილი) განიხილეს პარტკანდიდატად მისაღებთა სია განცხადება და ოქმში ჩასწერეს: სამივე მიღებულ იქნას კანდიდატებად, როგორც კარგი ამხანაგებიო. საქმისადმი ასეთსავე უყურადღებობას ადგილი ჰქონდა IV სამშენებლო კანტორის (მდივანი—საგანიანი) პარტორგანიზაციაში. აქ პარტიაში მიღებულთა ანკეტებში (მურადოვის, ნ. პოლოსოვის და სხვ.) შევსებული არ იყო 9,10,11 და 12 გრაფა და ზოგიერთი რეკომენდაცია შეუმოწმებელი იყო. რაიკომის ბიუროს განიხილა ეს საკითხები და სათანადო მითითება მისცა პარტორგანიზაციათა მდივნებს შენიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მაგრამ მოპოვებული წარმატებებით ჩვენ არ დავკმაყოფილდებით. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებით მივაღწევთ პარტიული მეურნეობის სამაგალითოდ დაყენებას და ამით უზრუნველვყოფთ ლენინ-სტალინის პარტიის ორგანიზაციული სიმტკიცის შემდგომ ამაღლებას.

საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის აგიტსემინარის ხელმძღვანელი ამხ. ა. ბერიშვილი ატარებს საუბარს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) გიორგი არტემის-ძე **ყაზაროვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3071815—იმისათვის, რომ პარტიას დაუშალა, რომ მის მშობლებს, როგორც განკულაკებულებს, ჩამორთმეული ჰქონდათ ხმა და იმყოფებოდნენ გადასახლებაში. 2) ივანე ნიკიტას-ძე **მირზოევი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1538537—ანტიპარტიული საქციელისათვის. 3) ანა ქრისტეფორეს-ასული **ლობჟანიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1936 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0718116—იმისათვის, რომ პარტიას დაუმალა თავისი ყოფნა მენშევიკურ პარტიაში 1913 წლიდან 1917 წლამდე. 4) ჩიჩი ტამშუგის-ძე **ქვარჩია**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 2842088—კოლმეურნეობის ბრიგადირის თვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისა და ოჩამჩირის რაიონიდან თვითნებურად გამგზავრებისათვის. 5) ამბროსი ვასილის-ძე **ნეფარიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0701508—არაკომუნისტური საქციელისათვის.

ჩვენ გვწერენ

არ გვეხმარებიან

სამტრედიის რაიონში, სოფელ წიაღობნიდან გომამდე კოლმეურნეობათა ინიციატივით 5 წლის წინათ დაიწყო საავტომობილო გზის მშენებლობა, რაც 4-კილომეტრზე უკვე შესრულებულია.

დარჩენილ ტრასაზე საჭირო იყო გზის მშენებლობის დაჩქარება, მაგრამ საგზაო განყოფილების უფროსი ჩაგუნავა მხოლოდ დაპირებებით ისტუმრებს დასახმარებლად მისულ კოლმეურნეებს — დაგეგმვისათვის ტექნიკოსების გამოყოფის შესახებ. მიუხედავად ამისა, გზის მშენებლობის ბრიგადა ბრიგადირ ი. ჯოჯუას ხელმძღვანელობით მაინც გაიხარჯობს მშენებლობას შემდგომ ტრასზე.

საჭიროა რაიონის ხელმძღვანელობამ ყურადღება მიაქციოს გზის მშენებლობის გეგმიანად წარმართვის საქმეს.

ა. თევზაძე

პასუხი უნდა მოეთხოვოს

მახარაძის რაიონის, სოფელ მერიაში მცხოვრებ ონისიმე დანელიას —გარდაცვალების შემდეგ სამი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა, რომლებსაც ერთხანს, მეზობლების თვალის ასახვევად, ბავშვების დედა ელენე დანელია პატრონობდა. მაგრამ, როცა ულირსმა დედამ გათხოვება დააპირა, ობლების ქონება გაჰყიდა, ფული მითვისა, ფრიადოსანი ბავშვები სკოლას მოსწყვიტა და სხვათან გაგდაიყვანა საცხოვრებლად.

ობლების ქონების განიავებისა და საკუთარი სახლიდან გაძევებისათვის, საინტერესოა, რას იტყვიან რაიონის პროკურორი და განათლების განყოფილება.

ვ. ჟავჟარაძე

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ღონისძიებანი

გაზ. „კომუნისტის“ 11 ივნისის მოწინავეში—„მივცეთ ქვეყანას ხეტი მარგანეცი“ აღნიშნული იყო, რომ საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის მითითების მიუხედავად, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა

ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ (ᲡᲐᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲘ). ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ. ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ.